სახელმწიფოს რღვევის ნიშნები და ციკლები საქართველოში (1991-2012)

ბექა კაციტაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი, მოწვეული ლექტორი
beka.katsitadze@outlook.com
https://doi.org/10.61950/giu.4.2026.12133

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია სახელმწიფოს რღვევის ნიშნები და ციკლები, რომელიც საქართველოს გარკვეული პერიოდულობითა და განმეორებადი სახით გამოარჩევდა 1991-2012 წლებში, სამი ხელისუფლების მმართველობის პირობებში, და გამოიხატებოდა ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის არარსებობით ან გავლენის ნაკლებობით სხვადასხვა მხარესა თუ ავტონომიურ რესპუბლიკაში. წინამდებარე საკვლევი მიზნის დასასაბუთებლად, ნაშრომში მოყვანილია კონკრეტული ფაქტები და მოვლენები, რომელთა შორის მოიაზრება 1991 წლის ბოლოს დაწყებული შეიარაღებული ამბოხება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ, 1991-1993 წლებში ეთნო-პოლიტიკურ ნიადაგზე მომხდარი შეიარაღებული დაპირისპირება ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, ასევე 1990-იანი წლებში განხორციელებული ტერაქტები პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ, ისევე როგორც 1999-2001 წლების კრიზისები კახეთის მხარის პანკისისა და 2006 წელს - კოდორის ხეობებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მდგომარეობა 1991-2004 წლებსა და სამცხე-ჯავახეთის საკითხი 2000-იანი წლების შუა პერიოდამდე. დაბოლოს, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს „აგვისტოს ომი“ და 2012 წელს განხორციელებული სამხედრო სპეცოპერაცია ლოპოტას ხეობაში, რომელიც ერთგვარი პოლიტიკური ბუნდოვანებითაა მოცული. კვლევის აქტუალობას ადასტურებს მკვლევართა დაინტერესება აღნიშნული საკითხის მიმართ, რაც თვალსაჩინოა უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში გამოცემული/გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით - ნარგიზა გამისონია და დოდო პერტაია (2009), დაზმირ ჯოჯუა (2010), რევაზ გაჩეჩილაძე (2013, 2017), საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ანგარიში (2014), შოთა ვადაჭკორია (2014), უჩა ბლუაშვილი (2015), ირაკლი ფერაძე (2018), ლია მელიქიშვილი (2019), Vahram Ter-matevosyan და Brent Currie (2019), დიმიტრი შველიძე (2021), ზვიად ძიძიგური (2024) და მექა ხანგოშვილი (2024). აქედან გამომდინარე, ნაშრომში წამოყენებული მიგნებები ეფუძნება მეორეული წყაროების, უფრო კონკრეტულად, მონოგრაფიებში, კვლევის ანგარიშში, სამეცნიერო სტატიასა და ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში მოცემული ძირითადი საკითხების ერთგვარ ანალიზს. შესაბამისად, ნაშრომი წარმოადგენს ე.წ. „სამაგიდო კვლევას“, თუმცა მოპოვებული წყაროების სახით მდიდარი საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება, საკვლევი თემისადმი მიდგომის ორიგინალურობას უსვამს ხაზს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გარეგანი თუ შინაგანი მიზეზებით გამოწვეული სახელმწიფოს ერთგვარი რღვევის ნიშნები, გარკვეული პერიოდულობით (იგივე - ციკლებით) იკლებდა ან იმატებდა საქართველოში. კერძოდ, 1990-იან და განსაკუთრებით, 2001-2003 წლებში საქართველოს სახელმწიფო ფაქტობრივად რღვევის

ზღვარზე იყო, ვინაიდან ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციისა და კონტროლის მიღმა იმყოფებოდა მრავალი დაჯგუფება, სეპარატისტული მოძრაობა და არაერთი ტერიტორიული ერთეული. 2004-დან 2012 წლამდე პერიოდში, ხელისუფლების მოქმედებების შედეგად, აჭარის თავნება ლიდერის პრობლემა გადაიჭრა, ხოლო სამცხე-ჯავახეთში ვითარება გაუმჯობესდა. თუმცა, ე.წ. „ზემო აფხაზეთის“ შემოერთების მიუხედავად, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ ვერ გაართვა თავი ოკუპირებული სეპარატისტული ერთეულების დაბრუნების საკითხს.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, სახელმწიფოს რღვევა, ომები, იურისდიქცია.

შესავალი

1988 წლის ნოემბრის მეორე ნახევრიდან საქართველოში მრავალათასიანი მანიფესტაციები დაიწყო, რომელშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები, მოსახლეობასთან ერთად, იღებდნენ მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ 1980-იანი წლების მეორე ნახევარში საპროტესტო აქციების ორგანიზატორებსა და მათ მიერ ჩამოყალიბებულ თითქმის ყველა არაფორმალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას საერთო ამოცანები ამოძრავებდათ, რომლის მთავარი მიზანი საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა იყო. 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებამ საგრძნობლად იმატა. 1990 წლის 13-15 მარტს, მოძრაობის ლიდერებმა ფილარმონიის დარბაზში „ეროვნული ფორუმი“ დააფუძნეს და საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ 25 მარტს დანიშნულ არჩევნებს უნდობლობა გამოუცხადეს. თუმცა, არჩევნების ჩაშლის შემდეგ, „ეროვნული ფორუმი“ ორ ბანაკად დაიყო: ზვიად გამსახურდიას თაოსნობით შეიქმნა „მრგვალი მაგიდა“, ხოლო „ეროვნული კონგრესის“ წევრებმა „მრგვალი მაგიდის“ საპირწონე გაერთიანება დააარსეს. 1990 წლის 28 ოქტომბერს, პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში „მრგვალმა მაგიდამ“ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. 1991 წლის 9 აპრილს რეფერენდუმის შედეგების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის დაარსება გამოცხადდა, ხოლო 1991 წლის 26 მაისს საქართველოს უზენაესმა საბჭომ საქართველოს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩია (შველიძე 2021).

ნაშრომში წარმოდგენილია გარკვეული პერიოდულობით განმეორებადი სახელმწიფოს რღვევის (ინგლ. Dissolution) ციკლები და ნიშნები, რომელიც საქართველოს ახასიათებდა 1991-2012 წლებში, სამი ხელისუფლების მმართველობის პირობებში, და გამოიხატებოდა ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის არარსებობით ან ნაკლებობით სხვადასხვა მხარესა თუ ავტონომიურ რესპუბლიკაში. შესაბამისად, ნაშრომში მოყვანილია კონკრეტული ფაქტები და მოვლენები: 1991 წლის სახელმწიფო გადატრიალება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ომები 1991-1993 წლებში, ასევე 1990-იანი წლების ტერაქტები პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ, 1990-იანი და 2000-იანი წლების კრიზისები პანკისისა და კოდორის ხეობებში, ისევე როგორც აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის საკითხები, დაბოლოს, რუსეთ-საქართველოს „აგვისტოს ომი“ და 2012 წელს მომხდარი სამხედრო სპეცოპერაცია ლოპოტას ხეობაში.

კვლევის აქტუალობას ადასტურებს მეცნიერთა დაინტერესება აღნიშნული საკითხის მიმართ, რაც თვალსაჩინოა უკანასკნელი დაახლოებით 10-15 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული/გამოცემული სამეცნიერო ნაშრომებით: ნარგიზა გამისონიასა და დოდო პერტაიას (2009), ისევე როგორც დაზმირ ჯოჯუას (2010) მონოგრაფიები „აგვისტოს ომის“ შედეგებზე, რევაზ გაჩეჩილაძის (2013; 2017) მონოგრაფიები საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ძირითად ეპიზოდებზე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ანგარიში (2014) ლოპოტას ხეობის სპეცოპერაციის შესახებ, შოთა ვადაჭკორიას (2014) მონოგრაფია კოდორის ხეობის დილემაზე, უჩა ბლუაშვილის (2015) მონოგრაფია საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესახებ „ვარდების რევოლუციამდე“, ირაკლი ფერაძის (2018) მონოგრაფია კოდორის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სურათზე, ლია მელიქიშვილის (2019) მონოგრაფია ტრადიციულ კულტურასა და საზოგადოებაზე, ავტორების - Vahram Ter-matevosyan და Brent Currie (2019) სამეცნიერო სტატია სამცხე-ჯავახეთის საკითხზე, დიმიტრი შველიძის (2021) მონოგრაფია ეროვნული მოძრაობისა და გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის თაობაზე, ზვიად ძიძიგურის (2024) ავტობიოგრაფიული წიგნი საქართველოს უახლეს ისტორიაზე, ისევე როგორც მექა ხანგოშვილის (2024) მონოგრაფია პანკისის ხეობის ისტორიაზე, სადაც, ამავდროულად, განხილულია 1990-2000 წლების მიჯნის კრიზისული მომენტები.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომში წამოყენებული მიგნებები ეფუძნება მეორეული წყაროების, უფრო კონკრეტულად, მონოგრაფიებში, კვლევის ანგარიშებში, სამეცნიერო სტატიებსა და ავტობიოგრაფიებში მოცემული ძირითადი საკითხების ანალიზს და მათი მიზეზ-შედეგობრივი/თანამიმართებითი კავშირების გამოვლენას სახელმწიფოს რღვევის ციკლებისა და ნიშნების გათვალისწინებით. „საველე კვლევისგან“ განსხვავებით, ნაშრომი უმეტესწილად წარმოადგენს ე.წ. „სამაგიდო კვლევას“, თუმცა მოპოვებული შრომების ან მათი რელევანტური ნაწილების სახით საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება, საკვლევი პრობლემისადმი მიდგომის ორიგინალურობაზე მიუთითებს. გარდა ამისა, ნაშრომში საკვლევ პერიოდად შერჩეულია დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, პირობითად, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მმართველობის დასრულებამდე პერიოდი, რაც ნაშრომის მცირე მოცულობიდან გამომდინარე, კვლევის ერთგვარ შეზღუდვას და, ამავდროულად, 2012 წლის შემდგომი მოვლენების შესწავლის მიმართულებით სამომავლო პერსპექტივას წარმოადგენს.

შედეგები

1991-1992 წლების ზამთრის სახელმწიფო გადატრიალება: 1991 წლის 21 აგვისტოს, მოსკოვში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა ჩაიშალა. მომავალმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა „პუტჩისტები“ დააპატიმრა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი რევაზ გაჩეჩილაძე აღნიშნავს, რომ „ოპოზიციურმა პარტიებმა არ დააყოვნეს ‘პუტჩისტების’ მიმართ მორჩილებაში დაედანაშაულებინათ გამსახურდია“ (გაჩეჩილაძე 2013, 543). მოგვიანებით, არსებული კონფლიქტი და უთანხმოება, გამძაფრდა: თავდაცვის ყოფილი მინისტრის, თენგიზ კიტოვანის ეროვნული გვარდიის ნაწილებმა, ყოფილ პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუასთან მოკავშირეობითა და ჯაბა იოსელიანის არაფორმალური გასამხედროებული დაჯგუფების

„მხედრიონი“ წევრებთან ერთად, 1991 წლის 21 დეკემბერს რუსთაველის გამზირზე ცეცხლი გაუხსნეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერებს. ორი კვირის განმავლობაში დაიღუპა ასი ადამიანი, გადაიწვა ცენტრალურ გამზირზე არსებული შენობა-ნაგებობების გარკვეული ნაწილი. 1992 წლის იანვრის დასაწყისში გამსახურდიამ პარლამენტის შენობა და მოგვიანებით, საქართველო, დატოვა. იგივე გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ აღნიშნული მოვლენა, „იურიდიული თვალსაზრისით, უკანონობა იყო“ (გაჩეჩილაძე 2013, 544). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე ამბობდა, რომ 1991-1992 წლებში მომხდარ სახელმწიფო გადატრიალებას „ზუსტი მეცნიერული შეუფასებლობა“ ახასიათებდა. იგი საკუთარ ნაშრომში „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ.)“ აკეთებს დასკვნას, რომ საქართველოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება განხორციელდა არათუ „პუტჩის“, არამედ შეიარაღებული ამბოხების გზით (შველიძე 2021, 652).

შეიარაღებული დაპირისპირება ცხინვალის რეგიონში (1991-1992 წწ.) და ომი აფხაზეთში (1992-1993 წწ.): მართალია, აფხაზებისა და ოსების სეპარატისტული მისწრაფებები ხანგრძლივ ისტორიას ითვლის, თუმცა ორივე მათგანში ვითარება უკიდურესად დაიძაბა 1980-იანი წლების ბოლოსთვის. აფხაზები და ოსები ერთმანეთის მსგავსად მოქმედებდნენ: აფხაზებმა 1922 წლის საბჭოთა აფხაზური ავტონომიური რესპუბლიკა აღადგინეს, ხოლო ოსებმა საკუთარი ავტონომიური ოლქი ჯერ რესპუბლიკად აქციეს, ხოლო შემდეგ - საქართველოსგან დამოუკიდებელ საბჭოთა ავტონომიურ რესპუბლიკად გამოაცხადეს. საომარი მოქმედებები ცხინვალის რეგიონში 1991 წლის დასაწყისში, ხოლო აფხაზეთში - 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო, როცა ქართულმა გვარდიის ნაწილმა რკინიგზის ძარცვისგან დაცვის მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვარი გადაკვეთეს. სამხედრო მოქმედებები ცხინვალის რეგიონში შეწყდა 1992 წლის 24 ივნისს რუსულ-ქართულ-ოსური სამმხრივი „დაგომისის შეთანხმების“ ხელმოწერით, ხოლო ომი აფხაზეთში 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით დასრულდა.

1990-იანი წლების ტერაქტები პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ: 1992-1995 წლებში სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას ედუარდ შევარდნაძე ასრულებდა, რომელიც, ამავდროულად, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობასაც იკავებდა. ისტორიკოს უჩა ბლუაშვილის თქმით, ხელისუფლება ცდილობდა ახალი კონსტიტუციის მიღებას, რომლითაც პრემიერ-მინისტრის თანამდებობა უქმდებოდა და საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკად ცხადდებოდა. 1995 წლის 29 აგვისტოს დაგეგმილი იყო საზეიმო ღონისძიება, რომლის პრეზენტაციას ედუარდ შევარდნაძეც უნდა დასწრებოდა. მიმავალ გზაზე, შევარდნაძის მანქანას, სახელმწიფოს უშიშროების მინისტრის, იგორ გიორგაძის ორგანიზებით, „მხედრიონის“ წევრებმა ტერაქტი მოუწყვეს. შევარდნაძე გადარჩა, გიორგაძემ რუსეთს შეაფარა თავი, ხოლო მოგვიანებით, იოსელიანი დააპატიმრეს. 1998 წლის 9 თებერვალს ორთაჭალაში ედუარდ შევარდნაძის ესკორტს კიდევ ერთხელ გაუხსნეს ცეცხლი. ტერორისტულ თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა ქართულ-ჩეჩნური არაფორმალური სამხედრო დაჯგუფება. შევარდნაძე კიდევ ერთხელ, სასწაულებრივად გადარჩა. თუმცა, ტერაქტების სერია და სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობები ამით არ ამოწურულა: იმავე წლის 19 თებერვალს, ტერორისტთა 20-წევრიანმა ჯგუფმა „გაეროს“ ოთხი

თანამშრომელი გაიტაცა და მძევლად აიყვანა. 31 მარტს, მძევლები გაათავისუფლეს, ხოლო შევარდნაძეზე თავდასხმის ორგანიზატორი გოჩა ესებუა, შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას დაიღუპა. გარდა ამისა, 1998 წლის 19 ოქტომბერს, პოლკოვნიკმა აკაკი ელიავამ სამხედრო მოსამსახურეთა ნაწილი მიიმხრო და რამდენიმე ერთეული ჯავშანტექნიკით, ქუთაისისკენ დაიძრა. ელიავას გზა იმჟამინდელმა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, დავით თევზაძემ გადაუღობა. ელიავა სამეგრელოს გამოყოფითაც კი იმუქრებოდა. საბოლოო ჯამში, მასთან მოლაპარაკება შედგა და ვითარება დროებით განიმუხტა (ბლუაშვილი 2015).

„კრიზისი პანკისში“ 1999-2001 წლებში: 1999 წელს *რუსეთის ფედერაციის საზღვრებში დაწყებული ჩეჩნეთის მეორე ომის შედეგად, კახეთის მხარეში არსებულ პანკისის ხეობაში (ავტ.)* 8-9 ათასმა ჩეჩენმა ლტოლვილმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ ჩეჩენი მებრძოლებიც, რომელთაც აღმოსავლეთის ისლამური ქვეყნებიდან ჩამოსული სხვადასხვა ეროვნების მებრძოლებიც უერთდებოდნენ. ამას ემატებოდა უმწვავესი ფონი, რომელიც 1990-2000-იანი წლების მიჯნაზე არსებობდა საქართველოში. შედეგად, როგორც დუისელი მკვლევარი მექა ხანგოშვილი აღნიშნავს, წამოიშვა „კრიზისი პანკისში“ (და, არა - „პანკისის კრიზისი“) (ხანგოშვილი 2024, 188) - იმატა ადამიანის გატაცებამ, ნარკოტიკებით ვაჭრობამ და სხვა სახის მძიმე დანაშაულმა, რომელსაც წინ აღუდგა ადგილობრივი ქისტი მოსახლეობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2001 წელს აფხაზეთში მოეწყო ჩეჩნურ-ქისტურ-ქართული *არაოფიციალური (ავტ.)* სამხედრო ლაშქრობა, რომელსაც 15-მდე პიროვნების დაღუპვა მოჰყვა (ხანგოშვილი 2024, 193).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკითხი 1991-2004 წლებში: ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მემედ აბაშიძის შთამომავალი ასლან აბაშიძე, აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში (აჭარის ასსრ) სხვადასხვა თანამდებობებს იკავებდა 1981-1991 წლების განმავლობაში, თუმცა 1991 წლის მარტში ახლადარჩეული პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას თაოსნობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. 1992 წლის იანვრის შემდგომ ხანებში, როდესაც გამსახურდიას ხელისუფლება ქვეყნის მართვის სადავეებს ძალადობრივად ჩამოაშორეს, ასლან აბაშიძემ ისარგებლა გონიოს მახლობლად განთავსებული რუსული სამხედრო ბაზის მხარდაჭერით და „მხედრიონი“-„გვარდიის“ ნაწილებს აჭარაში შესვლა აუკრძალა. პოლიტიკოსი ზვიად ძიძიგური ამტკიცებს, რომ, ფაქტობრივად, 1991-დან 2004 წლამდე პერიოდში, აბაშიძე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ერთპიროვნულად მართავდა და „თითქმის ცალკე სახელმწიფოდ ჩამოაყალიბა“ (ძიძიგური 2024, 94): სარფი-ბათუმის ნავსადგურებიდან მიღებულ შემოსავალს, ცენტრალური ბიუჯეტის ნაცვლად, აჭარაში ტოვებდა. ასევე, სრულად განკარგავდა კონკრეტული პიროვნებების თანამდებობებზე დანიშვნის მიმდინარეობას, სხვ. აღსანიშნავია, რომ აბაშიძე აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს და „დემოკრატიული აღორძინების კავშირის“ თავმჯდომარეობით 1995 წელს („საქართველოს მოქალაქეთა კავშირთან“ და „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან“ ერთად), ისევე როგორც 1999 წლების საპარლამენტო არჩევნებზე ბარიერების გადალახვაც მოახერხა. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ვითარება გართულდა მას შემდეგ, რაც 2004 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად, ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილი მოვიდა. კერძოდ, აბაშიძემ „ვარდების რევოლუცია“ არაკონსტიტუციურად სცნო და პრაქტიკულად, ახლადარჩეულ

პრეზიდენტს უნდობლობა გამოუცხადა. აჭარაში საქმიანობა დაიწყეს ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა, როგორებიცაა „კმარა“ და „ჩვენი აჭარა“. 2004 წლის მარტი-აპრილში მოვლენები უკიდურესად დაიძაბა - *აბაშიძემ მდინარე ჩოლოქის ხიდი ააფეთქა (ავტ.)* და რამდენიმე ერთეული ჯავშანტექნიკა გამოიყვანა, თუმცა ძალაუფლება დაკარგა და 2004 წლის 6 მაისს რუსეთის მთავრობის წარმომადგენელ იგორ ივანოვთან ერთად რუსეთის ფედერაციას შეაფარა თავი (ძიძიგური 2024).

კოდორის (დალის) ხეობა 1993-2006 წლებში: 1992-1993 წლების აფხაზეთის ომის შემდეგ, საქართველომ დაკარგა საკუთარი იურისდიქცია აფხაზეთის ტერიტორიაზე, კოდორის ხეობის (იმავე - დალის ხეობის) გარდა. 1992 წელს ადგილობრივმა ქართველებმა (კერძოდ, სვანებმა) შექმნეს „შეფიცულთა რაზმი“, ხოლო ომის დასრულებას ემზარ კვიციანის ხელმძღვანელობით 350-წევრიანი ბატალიონ „მონადირეს“ ჩამოყალიბება მოჰყვა. ისტორიკოსი შოთა ვადაჭკორია აღნიშნავს, რომ „ბატალიონი ‘მონადირე’ ახერხებდა კოდორისა და ჩხალთას ხეობების, მარუხისა და ქლუხორის უღელტეხილების შენარჩუნებას 1993-2006 წლებში (ვადაჭკორია 2014, 309), ხოლო „ბატალიონისთვის იარაღის მიწოდებას თავდაცვის უწყება უზრუნველყოფდა 1999-2004 წლების მანძილზე“ (ვადაჭკორია 2014, 50). 2005 წლის აპრილში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ აღნიშნული ბატალიონი გააუქმა, ხოლო 2006 წლის 26 ივლისს მის წინააღმდეგ მცირე მასშტაბის სამხედრო ოპერაცია ჩაატარა კოდორის ხეობაში, რომელსაც მოგვიანებით „ზემო აფხაზეთი“ უწოდა. ხელისუფლებამ დაიწყო *ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (ავტ.)* „ზემო აფხაზეთში“, რომელზეც კონტროლი 2008 წლის „აგვისტოს ომის“ დაწყებამდე შეინარჩუნა, თუმცა რუსეთ-საქართველოს ომის დროს ქართულმა საჯარისო ფორმირებებმა ხეობა უბრძოლველად დატოვეს. ეთნოლოგი ირაკლი ფერაძე მიუთითებს, რომ „ხეობა დაახლოებით 2600-მდე ეთნიკურმა ქართველმა დატოვა, თუმცა დღესდღეობით, დალის ხეობაში 40-მდე სვანური ოჯახი ცხოვრობს, რომელთა შემოსავლის მთავარი წყარო მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, ასევე საოჯახო ტიპის სასტუმროების მუშაობაა“. ამჟამად, „ჭუბერის უღელტეხილი დაკეტილია და საჭიროა გულრიფშის რაიონის გავლა კოდორში მოსახვედრად“ (ფერაძე 2018, 60).

ვითარება სამცხე-ჯავახეთის მხარეში 1990-2000-იან წლებში: აკადემიკოსი ლიანა მელიქიშვილი ისტორიული კანონზომიერებებით ხსნის ქართველებისა და სომეხთა ეროვნული უმცირესობების მრავალსაუკუნოვან თანაცხოვრებას საქართველოს ტერიტორიაზე. კერძოდ, აზიურ შემოსევებს, თავდაპირველად, სომხები განიცდიდნენ. შესაბამისად, ისინი იძულებულნი იყვნენ, რომ თავშესაფარი ისტორიულ საქართველოში ეძებნათ (მელიქიშვილი 2019, 61). მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ ბოლო ათწლეულებში სომეხთა ეროვნული უმცირესობების მოსახლეობაში მრავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია შეიქმნა, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ „ჯავახკი“ და „ფარნავა“. აქედან, „ოფიციალურად, ‘ჯავახკი’ გაფორმებული იყო საქველმოქმედო ორგანიზაციაც. თუმცა, სინამდვილეში, როგორც რადიკალური ორგანიზაცია, ჯავახეთისთვის განსაკუთრებული მმართველობის ფორმას მოითხოვდა“ (მელიქიშვილი 2019, 70). „2007 წელს ახალქალაქში განლაგებულმა რუსულმა *147-ე მოტომსროლელმა დივიზიის ნაწილებმა (ავტ.)* საქართველოს ტერიტორია დატოვეს, რამაც ვითარების ცვლილება გამოიწვია“ (გაჩეჩილაძე 2013, 684). ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ ადგილობრივი ეთნიკური სომხური მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები რუსების მხრიდან დახმარებაზე ამყარებდნენ იმედებს.

მაგალითად, მკვლევრები Vahram Ter-Matevosyan და Brent Currie თავიანთ ნაშრომში აღნიშნავენ, რომ „სომხურ მოსახლეობას შორის სამცხე-ჯავახეთში კონფლიქტის შესაძლებლობას წარმოშობდა ფართო უმუშევრობა, სოციალური დაუცველობა, კორუფციის მაღალი დონე და ორგანიზებული დანაშაული. ასევე, ქართული ნაციონალიზმი უარყოფით სტერეოტიპულ განწყობებს ქმნიდა რეგიონში“ (Vahram Ter-Matevosyan and Brent Currie 2019, 2). თუმცა, ქართველებისა და სომხების თანაცხოვრების ხანგრძლივმა ისტორიამ, ისევე როგორც სომხეთის სახელმწიფოს მხრიდან სეპარატისტული მისწრაფებების მიმართ მხარდაჭერის არარსებობამ, რამდენიმე სხვა მიზეზთან ერთად, უზრუნველყო კონფლიქტის თავიდან აცილება სამცხე-ჯავახეთის მხარეში (Vahram Ter-Matevosyan and Brent Currie 2019).

2008 წლის „აგვისტოს ომის“ შედეგები და შეფასება: როგორც ისტორიკოსი დაზმირ ჯოჯუა მიუთითებს, რუსეთის ფედერაცია მიმართავდა დესტრუქციულ პოლიტიკას საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში 1994-2007 წლებში. კერძოდ, კრემლის მიზანი იყო პროვოცირებული კონფლიქტის გაყინვა და საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების ჩაშლა. 2006-2007 წლებში რუსული ეკონომიკური ემბარგოსა და კონფლიქტურ რეგიონებში მომხდარი სამხედრო-პოლიტიკური ინციდენტების შემდეგ, 2008 წლის იანვარ-ივლისში სეპარატისტებმა უარყვეს საქართველოს ხელისუფლების მიერ წამოყენებული ყველა სამშვიდობო წინადადება. არსებული მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა იმავე წლის აგვისტოში, რამაც მათ შორის განაპირობა საომარი მოქმედებები 8-12 აგვისტოს დღეებში. რუსებმა დაიკავეს ზუგდიდი, ფოთი, სენაკი, ასევე გორი, კასპი, ხაშური და საქართველოს სხვა ქალაქები. რუსეთსა და საქართველოს შორის ომი ოფიციალურად დასრულდა 2008 წლის 12 აგვისტოს, „ევროკავშირის“ თავმჯდომარე ქვეყნის, საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის 6-პუნქტიანი დოკუმენტის ორმხრივი ხელმოწერით (ჯოჯუა 2010). აღსანიშნავია, რომ შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტი დღემდე შეუსრულებელია, რაც რუსეთის ფედერაციის მხრიდან წინასაბრძოლო პოზიციებზე დაბრუნებას ითვალისწინებს. რუსეთ-საქართველოს შორის წარმოებულმა ომმა ჯამურად 412 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, დაიჭრა საქართველოს 1747 მოქალაქე, დაზიანდა ან განადგურდა სამხედრო, სატრანსპორტო, სამოქალაქო, თუ სხვა სახის ინფრასტრუქტურა. კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დევნილად ან ლტოლვილად იქცა, სხვ. (გამისონია და პერტაია 2009). საბოლოო ჯამში, ისტორიკოსი დაზმირ ჯოჯუა 2008 წლის „აგვისტოს ომს“ რუსულ აგრესიად აფასებს და მოითხოვს კონფლიქტის შეწყვეტას, ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დაცვას, ისევე როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას (ჯოჯუა 2010, 344).

2012 წლის ლაფანყურის (ლოპოტას) სპეცოპერაცია: 2012 წლის 28 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა: „საქართველო-რუსეთის საზღვართან, დაღესტნის მონაკვეთთან, საქართველოს ტერიტორიაზე, აღმოჩენილია შეიარაღებული ჯგუფი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ხორციელდება აღნიშნული ჯგუფის დევნის ოპერაცია“ (საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2014, 6). კერძოდ, კახეთის მხარეში, თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურთან, მდინარე ლოპოტას ხეობაში, საქართველოს ძალოვანმა სტრუქტურებმა ჩაატარეს სპეციალური ოპერაცია, რომელსაც, ოფიციალური ინფორმაციით, შეიარაღებული დაჯგუფების შვიდი წევრისა და საქართველოს ძალოვან

წარმომადგენელთა შორის სამი თანამშრომლის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა. საქართველოს სახალხო დამცველმა 2012 წლის დეკემბრიდან საკუთარი ინიციატივით დაიწყო აღნიშნული ფაქტის შესწავლა და 2014 წელს შესაბამისი ანგარიში გამოაქვეყნა. კერძოდ, დაასკვნა, „თუ როდის და როგორ მოხვდნენ საქართველოში უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრები და როგორ დატოვეს (ან დატოვეს თუ არა) ჯგუფის გადარჩენილმა წევრებმა საქართველოს ტერიტორია, უცნობი იყო“ (საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2014, 36).

დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული გარეგანი თუ შინაგანი (იგივე - ენდოგენური თუ ეგზოგენური) მიზეზებით გამოწვეული სახელმწიფოს რღვევის ნიშნები, გარკვეული პერიოდულობით (იგივე - ციკლებით) იცვლებოდა საქართველოში. კერძოდ, 1990-იან და განსაკუთრებით, 2001-2003 წლებში საქართველოს სახელმწიფო ფაქტობრივად რღვევის ზღვარზე იყო, ვინაიდან ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციისა და კონტროლის მიღმა იმყოფებოდა მრავალი დაჯგუფება, სეპარატისტული მოძრაობა და არაერთი ტერიტორიული ერთეული. 2004-დან 2012 წლამდე პერიოდში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მოქმედებების შედეგად, აჭარის თავნება ლიდერის პრობლემა გადაიჭრა, ხოლო სამცხე-ჯავახეთში ვითარება გაუმჯობესდა. თუმცა, ე.წ. „ზემო აფხაზეთზე“ კონტროლის დროებითი დამყარების მიუხედავად, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ ვერ გაართვა თავი ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტის შედეგებისა და ოკუპირებული სეპარატისტული ერთეულების დაბრუნების საკითხს. გარდა ამისა, როგორც კვლევის მეთოდოლოგიის თავში აღინიშნა, ნაშრომის მცირე მოცულობიდან გამომდინარე, 2012 წლის შემდგომი მოვლენების შესწავლა კვლევის ერთგვარ შეზღუდვას და, ამავდროულად, სამომავლო პერსპექტივას წარმოადგენს. დაბოლოს, ნაშრომზე მუშაობის განმავლობაში გამოიკვეთა რამდენიმე რეკომენდაცია სახელმწიფოს ოფიციალური სტრუქტურებისა და პოლიტიკით დაინტერესებული პირების მიმართ: 1) ნებისმიერი ხელისუფლების ცვლილება საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული არჩევნების მეშვეობით, სამოქალაქო დაპირისპირებისა და სახელმწიფოს ნგრევის თავიდან აცილების მიზნით; 2) ტერიტორიული მთლიანობის და იურისდიქციის გავრცელების ნაკლებობა, სამომავლოდ იქნება დამაბრკოლებელი მდგენელი ძლიერი სახელმწიფოს შენების გზაზე.

ბიბლიოგრაფია

1. ბლუაშვილი, უჩა. 2015. საქართველოს პოლიტიკური ისტორია, 1987-2003 წლები. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
2. გამისონია, ნარგიზა და დოდო პერტაია. 2009. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
3. გაჩეჩილაძე, რევაზ. 2013. საქართველო მსოფლიო კონტექსტში: XX და XXI საუკუნის პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები. პირველი გამოცემა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

4. გაჩეჩილაძე, რევაზ. 2017. საქართველო მსოფლიო კონტექსტში: XX და XXI საუკუნის პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები. მეორე გამოცემა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
5. ვადაჭკორია, შოთა. 2014. კოდორის ხეობის დილემა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი (1993-2010). თბილისი: გამომცემლობა „გეორგიკა“.
6. მელიქიშვილი, ლია. 2019. ტრადიციული კულტურა და საზოგადოება. თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“.
7. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. 2014. საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს ანგარიში 2012 წლის 28 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან, ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შესახებ. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.
8. ფერაძე, ირაკლი. 2018. დალის ხეობა: ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.
9. შველიძე, დიმიტრი. 2021. პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში: 1987-1992 წლები. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.
10. ძიძიგური, ზვიად. 2024. ეპიზოდები საქართველოს უახლესი ისტორიიდან: 1990-იანები და შემდეგ. თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტი.
11. ხანგოშვილი, მექა. 2024. ქისტები, რომლებმაც შექმნეს პანკისის ხეობის ისტორია. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
12. ჯოჯუა, დაზმირ. 2010. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში: 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
13. Ter-matevosyan, Vahram and Brent Currie. 2019. A conflict that did not happen: revisiting the Javakhk affair in Georgia. Nations and Nationalism 25, no. 1: 340-360. https://www.researchgate.net/publication/326918500_A_conflict_that_did_not_happen_revisiting_the_Javakhk_affair_in_Georgia_Revisiting_the_Javakhk_affair_in_Georgia (06.05.2026).